

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მოამბე

СООБЩЕНИЯ

Академии наук грузинской ССР

BULLETIN

OF THE ACADEMY OF SCIENCES OF THE GEORGIAN SSR

ტომი 105 Том

№1

იანვარი 1982 Январь

თბილისი • Тбилиси • Tbilisi

#177#

ბ. ჯორბენაძე

კოლიგაციის პრინციპი ქართულში

(წარმოადგინა აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა 28.7.1981)

1. კოლიგაცია არის ენობრივ ფორმათა მორფოსინტაქსურად შეპირობებული ისეთი შეხამება, რომლის საშუალებითაც ხდება მორფოლოგიურად უცვლელი პოლისემანტიკური ფორმის ნაირგვარ მნიშვნელობათა გამოხატვა; ე.ი. სიტყვათშეხამების ერთი წევრი თავისი მორფოლოგიური სტრუქტურით შეაპირობებს მეორე წევრის გრამატიკულ სტატუსს.

ზემოთქმულის მიხედვით, კოლიგაციის პრინციპი ასეთია: მორფოლოგიურად უცვლელი ფორმა გამოხატავს სხვადასხვა მნიშვნელობას შესაბამისად იმისა, თუ რა ფორმა შეეხამება მას, ანუ: კოლიგაცია არის სინტაქსური საშუალებით მორფოლოგიურ მნიშვნელობათა გამოხატვა.

განვიხილოთ კოლიგაციის რამდენიმე ნიმუში ქართულში.

2. მსაზღვრელი მოეპოვება სახელსაც და ზმნასაც:

კარგი წიგნი.

კარგად წერს.

პირველ შემთხვევაში „კარგი“ სახელის მსაზღვრელია, განსაზღვრებაა, მეორე შემთხვევაში „კარგად“ ზმნის მსაზღვრელია, ვითარების გარემოებად წოდებული.

ქართულში ჩვეულებრივი მოვლენაა ნაზმნარ სახელთა (მასდარისა და მიმღეობის) წარმოება (წერ-ს → წერ-ა, და-მ-წერ-ი, და-წერ-ილ-ი, და-უ-წერ-ელ-ი, და-სა-წერ-ი...). მასდარი განიმარტება როგორც ნაზმნარი არსებითი სახელი, რადგან მას არსებითი სახელისათვის დამახასიათებელი ყველა თვისება აქვს: სახელდება რაიმეს (ამ შემთხვევაში — მოქმედებს), იბრუნვის და სახელთა მსგავსად ფორმდება მრავლობით რიცხვში. ამის კვალობაზე, მიმღეობა ნაზმნარი ზედსართავი სახელია. იმავდროულად სახელზმნას ზმნური თვისებებიც აქვს წარმოჩენილი: შეუძლია გამოხატოს მიმართულება (და-ხატ-ვ-ა — ჩა-ხატ-ვ-ა, და-ხატ-ულ-ი — ჩა-ხატ-ულ-ი), უსრული და სრული ასპექტი (ხატ-ვ-ა — და-ხატ-ვ-ა), გაშუალებული მოქმედება (და-ხატ-ვ-ა — და-ხატ-ვ-ინ-ებ-ა), დრო (და-ხატ-ულ-ი — და-სა-ხატ-ი), გვარი (და-მ-ხატ-ვ-ელ-ი — და-ხატ-ულ-ი).

სახელზმნის ეს სემანტიკური ორბუნებოვნება თავს იჩენს ხოლმე მასთან მსაზღვრელად ნავარაუდევი სახელის ბრუნვის ფორმითაც: როგორც ნაზმნარ სახელს, მას შეუძლია შეიხამოს მსაზღვრელი ისევე, როგორც ყველა არსებით სახელს. იმავდროულად, შესაძლოა პრიმატი მიენიჭოს მის ზმნურ სემანტიკას და მანაც შესაბამისად შეიხამოს მსაზღვრელი ვითარებითი ბრუნვის ფორმით:

სახელადი სემანტიკა:

სახელი.: კარგ-ი წერა (შდრ.: კარგი წიგნი)

მოთხ.: კარგ-მა წერა-მ

მიც.: კარგ წერა-ს

ზმნური სემანტიკა:

კარგად წერა (შდრ.: კარგად წერ-ს)

კარგად წერა-მ

კარგად წერა-ს

#178#

ნათ.: კარგ-ი წერ-ის

კარგად წერ-ის

მოქმ.: კარგ-ი წერ-ით

კარგად წერ-ით

ვითარ.: კარგ წერ-ად

კარგად წერ-ად

აქ მასდარის ნიმუშები იყო მოტანილი. ანალოგიური ვითარებაა მიმდებარეობაშიც: კარგ-ი დაწერილ-ი, კარგ-მა დაწერილ-მა, კარგ დაწერილ-ს... შდრ.: კარგად დაწერილ-ი, კარგად დაწერილ-მა, კარგად დაწერილ-ს და ა.შ.

ქართულში დამოწმებულია რიგი ფორმებისა, რომლებიც პირველად მასდარებად იწოდებიან. ესაა ჩვეულებრივი არსებითი სახელი, ოღონდ ამ შემთხვევაში ხდება მოქმედების (და არა საგნის) სახელდება: **თამაში, ვარჯიში, ლაპარაკი, ბაასი, ჩხუბი... შრიალი, ტრიალი, წრიალი... ჩურჩული, ხარხარი, ღიღინი** და სხვ. ამ სახელებისგან იწარმოება ნასახელარი ზმნები (**ათამაშებს, თამაშობს; შრიალებს; ღიღინებს**), რომლებსაც მასდარის მაგივრობას ისევ ეს სახელები უწევენ. ერთ პერიოდში თავი იჩინა ტენდენციამ, რომ ამ შემთხვევაშიც ზმნური ფორმებისაგან წარმოებულიყო მასდარი: **თამაში → თამაშ-ობ-ს → თამაშ-ობ-ა**. ამ რიგისაა **ბაას-ობ-ა ვარჯიშ-ობ-ა**, და მისთანა ფორმები. მაგრამ ენამ უკუაგდო ამგვარი წარმოება, რადგან ქართულს მოეპოვებოდა სხვა საშუალება იმისთვის, რომ გარჩეულიყო საკუთრივ არსებითი სახელისა და მასდარის (ნაზმნარი არსებითი სახელის) სემანტიკა. ეს საშუალება იყო სინტაგმა, რომელიც კოლიგაციის პრინციპით იყო აგებული: **კარგ-ი თამაშ-ი (ვარჯიშ-ი, ლაპარაკ-ი...)** და **კარგ-ად თამაშ-ი (ვარჯიშ-ი, ლაპარაკ-ი...)** იმით განირჩეოდა ერთმანეთისაგან, რომ პირველ შემთხვევაში „თამაში“ ფორმის სახელადი სემანტიკაა წარმოჩენილი, მეორე შემთხვევაში — იმავე ფორმის ზმნური სემანტიკა.

ზოგჯერ ნაზმნარი სახელი გასუბსტანტივების შემდეგ კარგავს ზმნურობის სემანტიკას. ეს ფაქტი უშუალოდ აისახება მსაზღვრელთან ურთიერთობისას. დასაშვებია: **კარგ-ი წერილ-ი, ღრმა თხრილ-ი**, მაგრამ შეუძლებელია ***კარგ-ად წერილ-ი, *ღრმ-ად თხრილ-ი** (შდრ.: **კარგ-ი || კარგ-ად დაწერილ-ი, ღრმა || ღრმ-ად გა-თხრილ-ი**).

3. შევუდაროთ ერთმანეთს ორი გარდაქმნა:

მამა ხატავს შვილს → მამის დახატული შვილი	მამას ხატავს შვილი → მამის დამხატავი შვილი
---	---

გარდაქმნის შედეგად მივიღეთ ორი შესიტყვება:

მამის დახატული შვილი

მამის დამხატავი შვილი

ეს ორი შესიტყვება შედგება შემდეგი სინტაგმებისაგან:

მამის დახატული

დახატული შვილი

მამის დამხატავი

დამხატავი შვილი

ფორმოზრივ: მარცხენა რიგში მართული მსაზღვრელ-საზღვრული გვაქვს, მარჯვენა რიგში — შეთანხმებული.

ორივე რიგში განსხვავებულია მხოლოდ ფორმები „დახატული“ და „დამხატავი“, რომელთაგან პირველი ვნებითი გვარის (საობიექტო) მიმღეობაა, მეორე — მოქმედებითი გვარისა (სასუბიექტო).

კოლიგაციის პრინციპის შესაბამისად მიმღეობის სწორედ ეს განსხვავებული ფორმები შეაპირობებენ მათთან სინტაგმაში შეხამებული ფორმების სემანტიკურ სტატუსს:

ა) შესიტყვების „მამის დახატული“ ფორმულაა: „სახელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით + ვნებითი გვარის (საობიექტო) მიმღეობა“ ამგვარი

#179#

შეხამებისას ნათესაობითში დასმული სახელი სუბიექტის (მოქმედის) სემანტიკას გამოხატავს.

ბ) შესიტყვების „მამის დამხატავი“ ფორმულაა: „სახელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით + მოქმედებითი გვარის (სასუბიექტო) მიმღეობა“.

გ) შესიტყვების „დახატული შვილი“ ფორმულაა: „ვნებითი გვარის (საობიექტო) მიმღეობა + სახელი სახელობითი ბრუნვის ფორმით“. ამგვარი შეხამებისას სახელობითში დასმული სახელი სამოქმედო საგნის სემანტიკას გამოხატავს.

დ) შესიტყვების „დამხატავი შვილი“ ფორმულაა: მოქმედებითი გვარის (სასუბიექტო) მიმღეობა + სახელი სახელობითი ბრუნვის ფორმით“. ამგვარი შეხამებისას სახელობითში დასმული სახელი სუბიექტის (მოქმედის) სემანტიკას გამოხატავს.

ზემოხსენებული ფაქტი საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ ორი დასკვნა:

I. მიმღეობის მორფოლოგიური სტატუსი განაპირობებს მასთან შეხამებული, მორფოლოგიურად ერთი და იმავე სტრუქტურით წარმოდგენილი ფორმის ნაირგვარ სემანტიკას: „მამის“ ერთ შემთხვევაში სუბიექტია, მეორე შემთხვევაში — ობიექტი; ასევე განსხვავებულ მნიშვნელობებს გამოხატავს ფორმა „შვილი“. ასე რომ, ამ შემთხვევაში კოლიგაციის ტიპიურ ნიშუშთან გვაქვს საქმე.

II. სხვადასხვა ბრუნვით წარმოდგენილი სახელი ნაირგვარ მიმართებას ამყარებს სინტაგმის მეორე წევრთან. იმ დროს, როცა სახელი ნათესაობით ბრუნვაში დგას, სინტაგმაში მასთან შეუღლებულ მიმღეობასთან, ასე ვთქვათ, „უკუპროპორციული“ მიმართებაა დამოწმებული: ვნებითი გვარის მიმღეობა მასთან ნათესაობითი ბრუნვის ფორმით შეხამებული სახელის აქტიურობას ვარაუდობს და, პირიქით, მოქმედებითი გვარის მიმღეობა იმავე ბრუნვაში დასმული სახელის პასიურობაზე მიაწიწებს. იმავდროულად, სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილ სახელთან მიმღეობა „პირდაპირპროპორციულ“ მიმართებას ამყარებს: მოქმედებითი გვარის მიმღეობასთან სახელი აქტიურ პირს ასახელებს, ვნებითი გვარის მიმღეობასთან — პასიურ პირს. ეს ფაქტი ფრიად საყურადღებოა ენაში ფორმათმიმართების, კერძოდ, კოლიგაციის პრინციპის თვალსაზრისით.

4. ზემოთ დასახელებული იყო კოლიგაციის ის შემთხვევები, როცა ერთი ფორმის მორფოლოგიური ნაირსახეობა განაპირობებდა მასთან შეხამებული მეორე ფორმის ნაირგვარი

სემანტიკური სტატუსის გამოხატვას. კოლიგაცია შესაძლოა წმინდა სემანტიკური ან სინტაქსური იყოს.

სემანტიკური კოლიგაციის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ: „**დიასახლისი ცრ-ი-ს ფქვილს**“ და „**წვიმა ცრ-ი-ს**“. იმის შესაბამისად, სუბიექტად ნაგულები საგანი სულიერია თუ უსულო (ჩვენს შემთხვევაში „**დიასახლისი**“ და „**წვიმა**“), შესიტყვებაში წარმოდგენილი ზმნა-შემასმენელი ნაირგვარი გრამატიკული სემანტიკის გამომხატველად გვევლინება: სულიერ სუბიექტთან დინამიკურია, მოქმედებითი გვარისა, უსულოსთან — მდგომარეობითი, ე.წ. „საშუალო“ გვარისა. ზმნის სემანტიკური ნაირსახეობანი ფორმოზრივად უღვლილებისას იჩენენ თავს: მოქმედებითის მნიშვნელობისას ზმნას უღვლილების ყველა პარადიგმა მოეპოვება, მაშინ კი, როცა „საშუალო“ გვარის სემანტიკას გამოხატავს, მხოლოდ აწმყოს წრის პარადიგმებია დამოწმებული.

#180#

ამავე რიგის კოლიგაციის ნიმუშებია: „**მასწავლებელი მოწაფეს კარგად ახასიათებს**“ — „**ამ მოწაფეს ზნე ახასიათებს**“, „**განმცხადებელი საბუთს წარმოადგენს**“ — „**ეს საბუთი დღეს არაფერს წარმოადგენს**“ და ა.შ.

5. დავასახელებთ წმინდა სინტაქსური კოლიგაციის ერთ შემთხვევას. ესაა სიტყვათა რიგის ცვლილებით გამოწვეული ცვლა მნიშვნელობისა: „**კარგად ლაპარაკი იცის**“ და „**ლაპარაკი კარგად იცის**“. პირველ შემთხვევაში იგულისხმება, რომ სუბიექტად დასახელებულ პირს მოსაწონი, დახვეწილი ლაპარაკის უნარი ახასიათებს, მეორე შემთხვევაში ისაა გადმოცემული, რომ კერძოდ ლაპარაკი იცის კარგად, ლაპარაკი შეუძლია, საერთოდ, ლაპარაკის უნარი აქვს.

სიტყვათა ნაირგვარ რიგს მნიშვნელობათა განსხვავების შესაძლებლობა აღმოაჩნდა.

6. ზემოხსენებული ნიმუშები ნათლად წარმოაჩენენ იმას, თუ რა დამატებითი საშუალებანი მოეპოვება ენას მორფოლოგიურ მნიშვნელობათა გამოსახატავად. კერძოდ, წარმოჩნდა, თუ როგორ შეიძლება იქნეს გამოყენებული სინტაქსური ურთიერთობანი ფორმატწარმოებითი დანიშნულებით.

(შეძლია 31.7.1981)

ЯЗЫКОЗНАНИЕ

Б. А. Джорбенадзе

ПРИНЦИП КОЛЛИГАЦИИ В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Р е з ю м е

В статье рассматривается действие принципа коллигации в грузинском языке на примерах различных, релевантных в этом отношении, синтагм.

LINGUISTICS

B. A. Jorbenadze

THE PRINCIPLE OF COLLIGATION IN GEORGIAN

S u m m a r y

The article considers the manifestation of the principle of colligation in Georgian, as illustrated by various types of syntagms relevant from this point of view.